

საქართველოს მთავრობის
დადგენილება №
2024 წლის ---- ქ. თბილისი

„ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 დეკემბრის №494 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 დეკემბრის №494 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 - 8 პუნქტები:

„3. მცენარის ჯიშად რეგისტრაციის შესახებ საგამოცდო ორგანოში წარდგენილ განაცხადზე, ჯიშის აღწერილობაზე უნდა ჩატარდეს ჯიშის ექსპერტიზა ამ წესის მე-4 მუხლისა და ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

4. ჯიშის გამოცდა უნდა ჩატარდეს გამოცდის გეგმის, ჯიშის მოვლა-მოყვანისა და ჯიშობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელმაც უნდა მოიცვას, სულ მცირე:

ა) ევროკავშირის მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის ოფისის ადმინისტრაციული საბჭოს (CPVO) „განსხვავებულობის, ერთგვაროვნებისა და სტაბილურობის“ პროტოკოლის მოთხოვნები;

ბ) ევროკავშირის მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირის (UPOV) მცენარის „განსხვავებულობის, ერთგვაროვნებისა და სტაბილურობის“ გამოცდის ჩატარების სახელმძღვანელოს“ მოთხოვნები;

გ) საქართველოს კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები.

5. ამ წესის დანართი №1-ში „სახეობების სია, რომლებიც შეესაბამება (CPVO)-ის ტექნიკურ ოქმს“ ჩამოთვლილი სახეობები უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

6. ამ წესის დანართი №2-ში „სახეობების სია, რომლებიც შეესაბამება (UPOV)-ს გამოცდის ჩატარების ინსტრუქციებს“ ჩამოთვლილი სახეობები უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინების გარეშე, ორგანული წარმოებისათვის ვარგისი ორგანული ჯიშები, ერთგვაროვნებისას, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ წესის დანართი №4-ის „ა“ ნაწილში „სახეობების სია“ ჩამოთვლილ სახეობებს, უნდა აკმაყოფილებდნენ ამავე დანართის „ბ“ ნაწილით „სპეციფიკური დებულებები, რომელიც ეხება ორგანული წარმოებისათვის ვარგისი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობების ორგანული ჯიშების განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდას“ გათვალისწინებულ პირობებს.

8. სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობასთან დაკავშირებით:

ა) ჯიშები უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის დანართი №3-ის „სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე გამოცდის მახასიათებლები“ შესაბამის მოთხოვნებს;

ბ) ამ მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინების გარეშე, ორგანული წარმოებისათვის ვარგისი ორგანული ჯიშები, რომლებიც ჩამოთვლილია ამ წესის დანართი №5-ის „ა“ ნაწილში „სახეობების ჩამონათვალი“, შესაძლებელია, ასევე შეესაბამებოდეს ამავე დანართის „ბ“ ნაწილს „შესასრულებელი პირობები - ორგანული წარმოებისათვის ვარგისი ორგანული ჯიშების სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე შეფასება.“.

2. დაემატოს თანდართული შინაარსის დანართები №1 - №5.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

სახეობების სია, რომლებიც შეესაბამება (CPVO)-ს
ტექნიკურ პროტოკოლს (*)

გვარები და სახეობები ლათინურად	გვარები და სახეობები ქართულად	CPVO პროტოკოლი
<i>Dactylis glomerata</i> L.	სათითურა	TP 31/1 of 25.3.2021
<i>Festuca arundinacea</i> Schreb.	ლერწმისებრი წივანა	TP 39/1 of 1.10.2015
<i>Festuca filiformis</i> Pourr.	ძაფისებრი წივანა	TP 67/1 of 23.6.2011
<i>Festuca ovina</i> L.	ცხვრის წივანა	TP 67/1 of 23.6.2011
<i>Festuca pratensis</i> Huds.	მდელოს წივანა	TP 39/1 of 1.10.2015
<i>Festuca rubra</i> L.	წითელი წივანა	TP 67/1 of 23.6.2011
<i>Festuca trachyphylla</i> (Hack.) Hack	უხემფოთოლა წივანა	TP 67/1 of 23.6.2011
<i>Lolium multiflorum</i> Lam.	იტალიური კონდარი	TP 4/2 of 19.3.2019
<i>Lolium perenne</i> L.	ინგლისური კონდარი	TP 4/2 of 19.3.2019
<i>Lolium x hybridum</i> Hausskn	ჰიბრიდული კონდარი	TP 4/2 of 19.3.2019
<i>Medicago sativa</i> L.	ჩვეულებრივი იონჯა	TP /6/1 of 22.12.2021
<i>Medicago x varia</i> T. Martyn	ჩვეულებრივი იონჯა (სინონიმი)	TP /6/1 of 22.12.2021
<i>Phleum nodosum</i> L.	კვანძოვანი ტიმოთელა	TP 34/1 of 22.12.2021
<i>Phleum pratense</i> L.	მდელოს თივაქასრა	TP 34/1 of 22.12.2021
<i>Pisum sativum</i> L. (partim)	ჩვეულებრივი ბარდა	TP 7/2 Rev. 3 Corr of 16.3.2020
<i>Poa pratensis</i> L.	მდელოს თივაქასრა	TP 33/1 of 15.3.2017
<i>Trifolium pratense</i> L.	წითელი სამყურა	TP 5/1 of 22.12.2021
<i>Vicia faba</i> L.	ცერცვი	TP 8/1 of 19.3.2019
<i>Vicia sativa</i> L.	ჩვეულებრივი ცერცველა	TP 32/1 of 19.4.2016
<i>Brassica napus</i> L. var. <i>napobrassica</i> (L.) Rchb.	თალგამურა	TP 89/1 of 11.3.2015
<i>Raphanus sativus</i> L. var. <i>oleiformis</i> Pers.	ბოლოკი	TP 178/1 of 15.3.2017
<i>Brassica napus</i> L. (partim)	თალგამურა	TP 36/3 of 21.4.2020
<i>Glycine max</i> (L.) Merr	სოია	TP 80/1 of 15.3.2017
<i>Gossypium</i> spp.	ბამბა	TP 88/2 of 11.12.2020
<i>Helianthus annuus</i> L.	მზესუმზირა	TP 81/1 of 31.10.2002
<i>Linum usitatissimum</i> L.	ჩვეულებრივი სელი	TP 57/2 of 19.3.2014
<i>Sinapis alba</i> L.	თეთრი მდოგვი	TP 179/1 of 15.3.2017
<i>Avena nuda</i> L.	შიშველი შვრია	TP 20/3 of 6.3.2020
<i>Avena sativa</i> L. (მათ შორის <i>A.</i> <i>byzantina</i> K. Koch)	ჩვეულებრივი შვრია	TP 20/3 of 6.3.2020

Hordeum vulgare L.	ქერი	TP 19/5 of 19.3.2019
Oryza sativa L.	ბრინჯი	TP 16/3 of 1.10.2015
Secale cereale L.	ჭვავი	TP 58/1 Rev of 27.4.2022
Sorghum bicolor (L.) Moench subsp. bicolor	სორგო	TP 122/1 of 19.3.2019
Sorghum bicolor (L.) Moench subsp. drummondii (Steud.) de Wet ex Davidse	სუდანის ბალახი	TP 122/1 of 19.3.2019
Sorghum bicolor (L.) Moench subsp. bicolor x Sorghum bicolor (L.) Moench subsp. drummondii (Steud.) de Wet ex Davidse	სორგოს და სუდანის ბალახის შეჯვარებით მიღებული ჰიბრიდები	TP 122/1 of 19.3.2019
xTriticosecale Wittm. ex A. Camus	გვარი Triticum-ისა და გვარი Secale -ს სახეობების შეჯვარების შედეგად მიღებული ჰიბრიდები	TP 121/3 of 27.4.2022
Triticum aestivum L. subsp. aestivum	ჩვეულებრივი ხორბალი	TP 3/5 of 19.3.2019
Triticum turgidum L. subsp. durum (Desf.) van Slageren	მაგარი ხორბალი	TP 120/3 of 19.3.2014
Zea mays L. (partim)	სიმინდი	TP 2/3 of 11.3.2010
Solanum tuberosum L.	კარტოფილი	TP 23/3 of 15.3.2017
(*) ამ პროტოკოლის ტექსტის ნახვა შესაძლებელია CPVO-ს ვებ-გვერდზე (www.cpvo.europa.eu)		

დანართი №2

სახეობების სია, რომლებიც შეესაბამება (UPOV)-ს გამოცდის ჩატარების სახელმძღვანელოს (*)

გვარები და სახეობები ლათინურად	გვარები და სახეობები ქართულად	UPOV სახელმძღვანელო
Beta vulgaris L.	ჭარხალი, მათ შორის ფოთლოვანი ჭარხალი	TG/150/3 of 4.11.1994
Agrostis canina L.	ძაღლის მანიკრეფია	TG/30/6 of 12.10.1990
Agrostis gigantea Roth	თეთრი ნამიკრეფია (სინონიმია)	TG/30/6 of 12.10.1990
Agrostis stolonifera L.	სტოლონებიანი ნამიკრეფია	TG/30/6 of 12.10.1990
Agrostis capillaris L.	ჩვეულებრივი ნამიკრეფია	TG/30/6 of 12.10.1990
Bromus catharticus Vahl	შვრიელა გამწმენდი	TG/180/3 of 4.4.2001
Bromus sitchensis Trin.	სითხენზის შვრიელა	TG/180/3 of 4.4.2001

xFestulolium Asch. et Graebn	ჰიბრიდი, რომელიც მიღებულია გვარ Festuca-ს სახეობების შეჯვარებით გვარ Lolium-ის სახეობებთან	TG/243/1 of 9.4.2008
Lotus corniculatus L.	კურდლისფრჩხილა	TG 193/1 of 9.4.2008
Lupinus albus L.	თეთრი ხანჭკოლა	TG/66/4 of 31.3.2004
Lupinus angustifolius L.	ლურჯი ხანჭკოლა	TG/66/4 of 31.3.2004
Lupinus luteus L.	ყვითელი ხანჭკოლა	TG/66/4 of 31.3.2004
Medicago doliata Carmign.	იონჯა დოლიატა	TG/228/1 of 5.4.2006
Medicago italica (Mill.) Fiori	იტალიური იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
Medicago littoralis Rohde ex Loisel	სანაპიროს იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
Medicago lupulina L.	სვისებრი იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
Medicago murex Willd.	რბილექლიანი იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
Medicago polymorpha L.	პოლიმორფული (მრავალფეროვანი) იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
Medicago rugosa Desr.	დანაოჭებული (ნაოჭიანი) იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
Medicago scutellata (L.) Mill.	ფარისებრი იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
Medicago truncatula Gaertn	შემოკაფული იონჯა	TG/228/1 of 5.4.2006
Trifolium repens L.	თეთრი სამყურა	TG/38/7 of 9.4.2003
Trifolium subterraneum L.	მიწისქვეშა სამყურა	TG/170/3 of 4.4.2001
Phacelia tanacetifolia Benth.	ფაცელია	TG/319/1 of 5.4.2017
Arachis hypogaea L.	არაქისი (მიწის თხილი)	TG/93/4 of 9.4.2014
Brassica juncea (L.) Czern	სარეჰსის მდოგვი	TG/335/1 of 17.12.2020
Brassica rapa L. var. silvestris (Lam.) Briggs	შალგი	TG/185/3 of 17.4.2002
Carthamus tinctorius L.	ალისარჩული	TG/134/3 of 12.10.1990
(*) ამ სახელმძღვანელოს ნახვა შესაძლებელია UPOV-ს ვებგვერდზე (www.upov.int)		

დანართი №3

სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე გამოცდის მახასიათებლები

1. მოსავლიანობა.
2. მავნე ორგანიზმების მიმართ მდგრადობა.

3. გარემო ფაქტორებთან დამოკიდებულება.
4. ხარისხობრივი მაჩვენებლები.
5. გამოყენებული მეთოდები უნდა დაზუსტდეს შედეგების წარდგენისას.

დანართი №4

**ნაწილი „ა“
სახეობების სია**

- ქერი;
- სიმინდი;
- ჭვავი;
- ხორბალი.

ნაწილი „ბ“

სპეციფიკური დებულებები, რომელიც ეხება ორგანული წარმოებისათვის ვარგისი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობების ორგანული ჯიშების განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდას

1. ძირითადი წესი

ორგანული წარმოებისათვის ვარგისი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობების ორგანულ ჯიშებზე ვრცელდება შემდეგი:

1.1. განსხვავებულობასა და სტაბილურობასთან დაკავშირებით, დაცული და აღწერილი უნდა იყოს ამ წესის N1 და N2 დანართებში მითითებული პროტოკოლებისა და სახელმძღვანელოების ყველა მახასიათებლები.

1.2. ერთგვაროვნებასთან დაკავშირებით, ამ წესის N1 და N2 დანართებში მითითებული პროტოკოლებისა და სახელმძღვანელოების ყველა მახასიათებელი უნდა იყოს დაცული და აღწერილი და მახასიათებლებს, რომლებიც მითითებულია ამ დანართის მე-2 პუნქტში ეხება შემდეგი:

ა) ეს მახასიათებლები შეიძლება შეფასდეს ნაკლებად მკაცრი პირობებით;

ბ) თუ ამ მახასიათებლებთან დაკავშირებით, ამ პუნქტში გათვალისწინებულია გადახვევა შესაბამისი ტექნიკური პროტოკოლიდან, ჯიშის ერთგვაროვნების დონე მსგავსი უნდა იყოს საყოველთაოდ ცნობილი შესადარებელი ჯიშებისა.

2. ტექნიკური მახასიათებლებიდან გადახვევა

2.1. ქერი

ჯიშებისათვის, რომლებიც ეკუთვნის ქერის სახეობას (*Hordeum vulgare* L.), გამოსაცდელი ჯიშის CPVO-ს პროტოკოლის CPVO/TP-019/5 DUS მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვემოთ მოყვანილი DUS მოთხოვნებიდან ერთგვაროვნებისთვის:

CPVO No 5 - კენწრული ფოთოლი: კავების ანტოციანური შეფერილობა

CPVO No 8 - კენწრული ფოთოლი: ღარის ცვილისებრი ნაფიფქი

CPVO No 9 - ფხები: წვეროების ანტოციანური შეფერილობა

CPVO No 10 - თავთავი: ცვილისებრი ნაფიფქი

CPVO No 12 - მარცვალი: ყვავილის კილის ძარღვების ანტოცი შეფერილობა

CPVO No 16 - სტერილური თავთავი: მდებარეობა

CPVO No 17 - თავთავი: ფორმა

CPVO No 20 - ფხა: სიგრძე

CPVO No 21 - თავთავის ღერაკის ნაწევარი: პირველი სეგმენტის სიგრძე

CPVO No 22 - თავთავის ღერაკის ნაწევარი: პირველი სეგმენტის მოხრილობა

CPVO No 23 - შუალედური თავთუნი: თავთუნის და მისი ფხის სიგრძე მარცვალთან თანაფარდობაში

CPVO No 25 - მარცვალი: ყვავილის კილის ზურგის მხარის შიდა გვერდითი ძარღვის გამოკვეთა

2.2. სიმინდი

ჯიშებისთვის, რომლებიც ეკუთვნის სიმინდის სახეობას (*Zea mays* L.), გამოსაცდელი ჯიშის CPVO პროტოკოლის CPVO-TP/002/3 DUS მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვემოთ მოყვანილი DUS მოთხოვნებიდან ერთგვაროვნებისთვის:

CPVO No 1 - პირველი ფოთოლი: ღარის ანტოციანური შეფერილობა

CPVO No 2 - პირველი ფოთოლი: წვეროს ფორმა

CPVO No 8 - ქოჩოჩი: ყვავილის კილის ანტოციანური შეფერილობა გარდა ფუძისა

CPVO No 9 - ქოჩოჩი: მტვრიანების ანტოციანური შეფერილობა

CPVO No 10 - ქოჩოჩი: კუთხე მთავარ ღერძსა და გვერდით ტოტებს შორის

CPVO No 11 - ქოჩოჩი: გვერდითი ტოტების დახრილობა

CPVO No 15 - ღერო: საჰაერო ფესვების ანტოციანური შეფერილობა

CPVO No 16 - ქოჩოჩო: თავთუნების სიმჭიდროვე

CPVO No 17 - ფოთოლი: ღარის ანტოციანური შეფერილობა

CPVO No 18 - ღერო: მუხლთაშორისების ანტოციანური შეფერილობა

CPVO No 19 - ქოჩოჩი: მთავარი ღერძის სიგრძე ყველაზე დაბალი გვერდითი ტოტის ზემოთ

CPVO No 20 - ქოჩოჩი: მთავარი ღერძის სიგრძე ყველაზე მაღლა მაღალი გვერდითი ტოტის ზემოთ

CPVO No 21 - ქოჩოჩი: გვერდითი ტოტის სიგრძე

2.3. ჭვავი

ჯიშებისთვის, რომლებიც ეკუთვნის ჭვავის სახეობას (*Secale cereale* L.), გამოსაცდელი ჯიშის CPVO პროტოკოლის CPVO-TP/058/1 DUS მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვემოთ მოყვანილი DUS მოთხოვნებიდან ერთგვაროვნებისთვის:

CPVO No 3 - კოლეოპტილე: ანტოციანური შეფერილობა

CPVO No 4 - კოლეოპტილე: სიგრძე

CPVO No 5 - პირველი ფოთოლი: ღარის სიგრძე

CPVO No 6 - პირველი ფოთოლი: ფირფიტის სიგრძე

CPVO No 8 - კენწრული ფოთოლი: ღარის ცვილისებრი ნაფიფქი

CPVO No 10 - კენწრული ფოთლის გვერდითი ფოთოლი: ფირფიტის სიგრძე

CPVO No 11 - კენწრული ფოთლის გვერდითი ფოთოლი: ფირფიტის სიგრძე

CPVO No 12 - თავთავი: ცვილისებრი ნაფიფქი

CPVO No 13 - ღერო: შებუსუსლობა თავთავის ძირში

2.4. ხორბალი

ჯიშებისათვის, რომლებიც ეკუთვნის ხორბლის სახეობას (*Triticum aestivum* L. subsp. *Aestivum*), გამოსაცდელი ჯიშის CPVO პროტოკოლის CPVO-TP/003/5DUS მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვემოთ მოყვანილი DUS მოთხოვნებიდან ერთგვაროვნებისთვის:

CPVO No 3 - კოლეოპტილე: ანტოციანური შეფერილობა

CPVO No 6 - კენწრული ფოთოლი: კავების ანტოციანური შეფერილობა

CPVO No 8 - კენწრული ფოთოლი: ღარის ცვილისებრი ნაფიფქი

CPVO No 9 - კენწრული ფოთოლი: ფირფიტის ცვილისებრი ნაფიფქი

CPVO No 10 - თავთავი: ცვილისებრი ნაფიფქი
CPVO No 11 - ღერო: ყელის ცვილისებრი ნაფიფქი
CPVO No 20 - თავთავი: ფორმა პროფილში
CPVO No 21 - თავთავის ღერაკის წვეროს სეგმენტი: შებუსვა გამოზნექილი მხრიდან
CPVO No 22 - თავთუნის ქვედა კილი: მხრის სიგანე
CPVO No 23 - თავთუნის ქვედა კილი: მხრის ფორმა
CPVO No 24 - თავთუნის ქვედა კილი: კბილაკის სიგრძე
CPVO No 25 - თავთუნის ქვედა კილი: კბილაკის ფორმა
CPVO No 26 - თავთუნის ქვედა კილი: შებუსვა შიდა მხრიდან

დანართი №5

ნაწილი „ა“

სახეობების სია

ქერი;

სიმინდი;

ჭვავი;

ხორბალი.

ნაწილი „ბ“

**შესასრულებელი პირობები - ორგანული წარმოებისათვის ვარგისი ორგანული ჯიშების
სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე შეფასება**

1. გამოცდა სასოფლო სამეურნეო სარგებლიანობაზე ტარდება ორგანულ პირობებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აპრილის დადგენილება N149 „ტექნიკური რეგლამენტი ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) წარმოების წესებისა და ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ; საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“).

2. ორგანული სოფლის მეურნეობის სპეციფიკური საჭიროებები და ამოცანები მხედველობაში მიიღება ჯიშების გამოცდისა და გამოცდის შედეგების შეფასებისას. უნდა შემოწმდეს დაავადებისადმი გამძლეობა ან ტოლერანტობა და ადაპტაცია სხვადასხვა ადგილობრივ ნიადაგთან და კლიმატურ პირობებთან.

3. იმ შემთხვევებში, როდესაც უფლებამოსილი ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ გამოცდას ორგანულ პირობებში ან გარკვეული მახასიათებლების შესწავლას, მათ შორის დაავადებისადმი გამძლეობას, გამოცდები შეიძლება ჩატარდეს ერთ-ერთი შემდეგი პუნქტის შესაბამისად:

ა) იმ უფლებამოსილი ორგანოს ზედამხედველობით, რომელიც ეხება ბიო მეცხოველეობას ან ბიომეურნეობას;

ბ) დაბალი ხარჯებით და მინიმალური დამუშავებით;

გ) სხვა წევრ სახელმწიფოში, თუ წევრ სახელმწიფოებს შორის დაიდო ორმხრივი შეთანხმებები ორგანულ პირობებში ტესტების ჩასატარებლად.

დ) სასოფლო სამეურნეო სარგებლიანობაზე ჯიშში ფასდება დამაკმაყოფილებლად, თუ კატალოგში მიღებული ორგანული წარმოებისთვის შესაფერის სხვა ორგანულ ჯიშებთან შედარებით, მისი თვისებები, მთლიანობაში, გვთავაზობს, კონკრეტულ რეგიონში აშკარა გაუმჯობესებას კულტივირების ან გამოყენების თვალსაზრისით, რაც შეიძლება მიღწეული იყოს კულტურების ან მისგან მიღებული პროდუქტებისთვის. სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მახასიათებლებს, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასთან და საკვების ან საკვების წარმოებასთან, რაც სარგებელს იძლევა ორგანული სოფლის მეურნეობისთვის.

4. სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებული პირი ადგენს სხვადასხვა საგამოცდო პირობებს, რომლებიც ადაპტირებულია ბიომეურნეობის სპეციფიკურ საჭიროებებზე და განმცხადებლის მოთხოვნით, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, შეისწავლის სპეციფიკურ ნიშანთვისებებს და მახასიათებლებს, თუ არსებობს გამრავლების მეთოდები.

განმარტებითი ბარათი

„ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 დეკემბრის №494 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, „ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 დეკემბრის №494 დადგენილებაში შეტანას.

პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2023 წლის 6 მარტის №1/2023 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის 2003 წლის 6 ოქტომბრის კომისიის 2003/90/EC დირექტივა, რომელიც ადგენს განმახორციელებელ ღონისძიებებს საბჭოს 2002/53/EC დირექტივის მე-7 მუხლის მიზნებისთვის იმ მინიმალურ მახასიათებლებთან დაკავშირებით, რომელთა დაკმაყოფილებაც უნდა მოხდეს შემოწმების შედეგად, და მინიმალური პირობებთან დაკავშირებით, რომელთა შესრულებაც უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ჯიშების გარკვეულ ნაირსახეობათა შემოწმებისთვის.

პროექტის შესაბამისად, ახალი რედაქციით ყალიბდება მე-2 პუნქტი, სადაც განისაზღვრა, რომ ამ წესის დანართი №1-ში „სახეობების სია, რომლებიც შეესაბამება (CPVO)-ის ტექნიკურ ოქმს“ ჩამოთვლილი სახეობები უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ასევე, ამ წესის დანართი №2-ში „სახეობების სია, რომლებიც შეესაბამება (UPOV)-ს გამოცდის ჩატარების ინსტრუქციებს“ ჩამოთვლილი სახეობები უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პროექტის მიხედვით, განისაზღვრა, რომ ამ წესის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინების გარეშე, ორგანული წარმოებისათვის ვარგისი ორგანული ჯიშები, ერთგვაროვნებისას, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ წესის დანართი №4-ის „ა“ ნაწილში „სახეობების სია“ ჩამოთვლილ სახეობებს, უნდა აკმაყოფილებდნენ ამავე დანართის „ბ“ ნაწილში „სპეციფიკური დებულებები, რომელიც ეხება ორგანული წარმოებისათვის ვარგისი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობების ორგანული ჯიშების განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდას“ გათვალისწინებულ პირობებს. ხოლო, სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობასთან დაკავშირებით: ჯიშები უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის დანართი №3-ის „სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე გამოცდის მახასიათებლები“ შესაბამის მოთხოვნებს; ამ წესის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინების გარეშე, ორგანული წარმოებისათვის ვარგისი ორგანული ჯიშები, რომლებიც ჩამოთვლილია ამ წესის დანართი №5-ის „ა“ ნაწილში „სახეობების ჩამონათვალი“, შესაძლებელია, ასევე შეესაბამებოდეს ამავე დანართის „ბ“ ნაწილს „შესასრულებელი პირობები - ორგანული წარმოებისათვის ვარგისი ორგანული ჯიშების სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე შეფასება.

პროექტს თან ახლავს დანართი №1 „სახეობების სია, რომლებიც შეესაბამება (CPVO)-ის ტექნიკურ პროტოკოლს“; დანართი №2 „სახეობების სია, რომლებიც შეესაბამება (UPOV)-ს გამოცდის ჩატარების სახელმძღვანელოს“; დანართი №3 „სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე გამოცდის მახასიათებლები“; დანართი №4 „ა“ ნაწილი „სახეობების სია“, „ბ“ ნაწილი „სპეციფიკური დებულებები, რომელიც ეხება ორგანული წარმოებისათვის ვარგისი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობების ორგანული ჯიშების განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდას“; დანართი №5 „ა“ ნაწილი „სახეობების ჩამონათვალი“, „ბ“ ნაწილი „შესასრულებელი პირობები - ორგანული წარმოებისათვის ვარგისი ორგანული ჯიშების სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე შეფასება“. აღნიშნული დანართები საჭიროა პროექტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი მომზადებულია 2003 წლის 6 ოქტომბრის კომისიის 2003/90/EC დირექტივის, რომელიც ადგენს განმახორციელებელ ღონისძიებებს საბჭოს 2002/53/EC დირექტივის მე-7 მუხლის მიზნებისთვის იმ მინიმალურ მახასიათებლებთან დაკავშირებით, რომელთა დაკმაყოფილებაც უნდა მოხდეს შემოწმების შედეგად, და მინიმალური პირობებთან დაკავშირებით, რომელთა შესრულებაც უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ჯიშების გარკვეულ ნაირსახეობათა შემოწმებისთვის შესაბამისად.

გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამასთან პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის შესაბამისად, ამ წესის დანართი №1-ში „სახეობების სია, რომლებიც შეესაბამება (CPVO)-ის ტექნიკურ ოქმს“ ჩამოთვლილი სახეობები უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ასევე, ამ წესის დანართი №2-ში „სახეობების სია, რომლებიც შეესაბამება (UPOV)-ს გამოცდის ჩატარების ინსტრუქციებს“ ჩამოთვლილი სახეობები უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

რაც განაპირობებს გამოცდის საერთაშორისო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებული პირობების დაცვით ჩატარებას.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე. თუმცა „ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 დეკემბრის №494 დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის პირველი ივნისიდან. რაც შესაძლებლობას მისცემს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს სათანადოდ მოემზადონ პროექტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებისათვის.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის N2-954 ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელიც მოახდენს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ მე-4 თავის - „სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები“-ს XI-B დანართის ფარგლებში აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით, კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებულ გამოწვევების იდენტიფიცირებას და დაგეგმავს მათი სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებებს. ამასთან, ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში მივმართეთ თხოვნით, მხარი დაგვიჭიროს ზემოაღნიშნული საკითხის უზრუნველყოფაში.

ყოველივე აღნიშნული საშუალებას მოგვცემს, უკეთ განვსაზღვროთ დაახლოებული კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებული მითითებული ვადები და საჭიროების შემთხვევაში, მათი მოვამზადოთ გადავადებების შესახებ შესაბამისი წინადადებები.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.